

## სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“

იურიდიული მისამართი: ბათუმი, მემედ აბაშიძის 41, ს/ნ 245675880, ტელ: 27 43 82

ბრძანება #02-03/24

ქ.ბათუმი

19 აგვისტო 2016 წელი

2016 წლის საპარლამენტო და აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან  
დაკავშირებით სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და  
რადიოს“ მიერ წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების მიზნით არაკვალიფიციური  
საარჩევნო სუბიექტებისათვის უფასო სარეკლამო დროის განსაზღვრის შესახებ  
საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 50-ე და 51-ე  
მუხლების, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35<sup>10</sup> მუხლის მე-7  
პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2016 წლის საპარლამენტო და აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან  
დაკავშირებით აჭარის ტელევიზიის ეთერში არაკვალიფიციური საარჩევნო  
სუბიექტებისათვის უფასო სარეკლამო დრო განისაზღვროს თითოეული  
სუბიექტისათვის დღეში არაუმეტეს 10 წმ-ის ოდენობით, 18.00 საათიდან 20.00 სთ-  
მდე.
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ბათუმი,  
ზუბალაშვილის #30) მისი გამოცემიდან 30 დღის განმავლობაში.
3. წინამდებარე ბრძანება ძალაშია 2016 წლის 19 აგვისტოდან 7 ოქტომბრის ჩათვლით.

დირექტორი

სოსო სტურუა

